

# პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

## 1. მონაცემთა დაცვის პოლიტიკის მიზნები

1.1. Space Cargo (შემდგომში - ჩვენ), სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპებიდან გამომდინარე, ვიღებთ ვალდებულებას ვიყოთ სრულ შესაბამისობაში მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან და მოქმედ კანონმდებლობასთან. წინამდებარე მონაცემთა დაცვის პოლიტიკა (შემდგომში - პოლიტიკა) სრულად ვრცელდება Space Cargo-ზე და ეფუძნება მონაცემთა დაცვის საერთაშორისოდ აღიარებულ ფუნდამენტურ პრინციპებს. მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენს სანდოუნარიანი და კეთილსინდისიერი ბიზნეს ურთიერთობების და Space Cargo-ს, როგორც მიმზიდველი პარტნიორის ან დამსაქმებლის, რეპუტაციის მნიშვნელოვან საფუძველს.

1.2. მონაცემთა დაცვის პოლიტიკა უზრუნველყოფს აუცილებელი ჩარჩო პირობების არსებობას Space Cargo-ს, მისი შვილობილი კომპანიების, აფილირებული პირების და სხვა პარტნიორების მიერ შიდა ან ტრანს-სასაზღვრო მონაცემთა მიმოცვლისთვის. პოლიტიკა უზრუნველყოფს ევროპის კავშირის მონაცემთა დაცვის დირექტივის და საქართველოს კანონმდებლობის მიერ განსაზღვრულ დაცვის ადეკვატურ დონეს მონაცემთა შიდა და ტრანს-სასაზღვრო მიმოცვლის დროს, მათ შორის, იმ ქვეყნებში, სადაც ჯერ კიდევ არ არსებობს მონაცემთა დაცვისათვის აუცილებელი შიდაეროვნული კანონმდებლობა.

## 2. მონაცემთა დაცვის პოლიტიკის მოქმედების სფერო და ცვლილება

2.1. წინამდებარე პოლიტიკა სრულად ვრცელდება Space Cargo-ს საიტით სარგებლობისას და გამოიყენება მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესში.

2.2. აღნიშნული პოლიტიკა ვრცელდება Space Cargo-ს კლიენტებზე, ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, არაიურიდიულ პირებზე, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებზე, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე, სამუშაოს მაძიებლებზე, მერჩანტებზე, საგადახდო სისტემის პროვაიდერებზე და სხვა პირებზე, რომელთაც Space Cargo-სთან არ გააჩნიათ ჩარჩო ხელშეკრულება, რომლითაც რეგულირებული იქნება პერსონალური მონაცემების დამუშავების საკითხები.

2.3. პერსონალურ მონაცემებს არ წარმოადგენს და შესაბამისად, წინამდებარე პოლიტიკის რეგულირების საგანი არ გახლავთ ანონიმური და არაიდენტიფიცირებადი მონაცემები, მაგალითად მონაცემები სტატისტიკური შეფასებების ან შესწავლისათვის და სხვა.

2.4. წინამდებარე პოლიტიკა, შესაძლოა, პერიოდულად განახლდეს. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია, რომ მას გაეცნოთ რეგულარულად. წინამდებარე პოლიტიკის უახლესი ვერსია ხელმისაწვდომია Space Cargo-ის ვებგვერდზე: <https://www.spacecargo.ge/>

## 3. ეროვნული კანონმდებლობის გამოყენება

3.1. წინამდებარე პოლიტიკა მოიცავს მონაცემთა დაცვის საერთაშორისოდ აღიარებულ ფუნდამენტურ პრინციპებს და ავსებს პერსონალური მონაცემების დაცვის სფეროში არსებულ ეროვნულ კანონმდებლობას.

3.2. წინამდებარე პოლიტიკასა და შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის ნორმებს შორის კოლიზიის შემთხვევაში, უპირატესი ძალა მიენიჭება ეროვნული კანონმდებლობის ნორმებს.

## 4. პერსონალური მონაცემების დამუშავების პრინციპები

4.1. კანონიერება და სამართლიანობა - პერსონალური მონაცემების დამუშავების დროს, ჩვენ ვიცავთ სუბიექტის ინდივიდუალურ უფლებებს. პერსონალური მონაცემები გროვდება და მუშავდება კანონიერად და სამართლიანად.

4.2. კონკრეტული მიზნით პერსონალური მონაცემების შეგროვება - პერსონალური მონაცემები მუშავდება მხოლოდ იმ მიზნით, რა მიზნისთვისაც მონაცემები შეგროვდა.

მონაცემთა დამუშავების მიზნის შემდგომი ცვლილება დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და მოითხოვს შესაბამისი საფუძვლების არსებობას.

4.3. გამჭვირვალობა - მონაცემთა სუბიექტი ინფორმირებულია იმის შესახებ, თუ როგორ ხდება მის შესახებ არსებული მონაცემების დამუშავება. ზოგადად, პერსონალური მონაცემები გროვდება უშუალოდ იმ პირისგან, ვისაც ეს მონაცემები ეხება. როდესაც ხდება მონაცემების შეგროვება, მონაცემთა სუბიექტი ინფორმირებულია:

1. მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის ვინაობის შესახებ;
2. მონაცემთა დამუშავების მიზნის შესახებ;
3. იმ მესამე პირების შესახებ, რომლებსაც შესაძლოა პერსონალური მონაცემები გადაეცეს;
- 4.4. პერსონალურ მონაცემთა განადგურება - Space Cargo-ს მიერ მონაცემების ამ პოლიტიკით განსაზღვრული მიზნებით დამუშავება გაგრძელდება იმ ვადით, რომელიც შეესაბამება Space Cargo-ს მიზნებს და ინტერესებს, მოთხოვნილია რეგულატორის მიერ ან/და გათვალისწინებულია კანონმდებლობით.

4.5. ფაქტობრივი სიზუსტე - დაცული პერსონალური მონაცემები შეძლებისდაგვარად არის ზუსტი, სრული და, საჭიროების შემთხვევაში, განახლებული. ჩვენ ვიღებთ ისეთ ზომებს, რომლებიც უზრუნველყოფს არაზუსტი ან არასრული მონაცემების განადგურებას, შესწორებას, დამატებას ან განახლებას.

4.6. კონფიდენციალურობა და მონაცემთა უსაფრთხოება - პერსონალური მონაცემები ჩვენ მიერ საიდუმლოდ ინახება, ამიტომ, პერსონალურ მონაცემებთან ინდივიდუალურ დონეზე კონფიდენციალური მოპყრობა და მათი დაცვა ჩვენთვის უმთავრესია. ჩვენ, შესაბამისი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომების გამოყენებით, რომლებიც გამორიცხავენ მონაცემებზე უნებართვო წვდომას, უკანონო დამუშავებას ან გავრცელებას, ასევე, შემთხვევით დაკარგვას, ცვლილებას ან განადგურებას, უზრუნველყოფთ თქვენს შესახებ პერსონალურ მონაცემთა დაცვას.

## 5. მონაცემთა დამუშავების ფარგლები

5.1. Space Cargo-ს მომსახურებით სარგებლობის პერიოდში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდგომაც, Space Cargo უფლებამოსილია, წინამდებარე პოლიტიკის მე-7 მუხლში მოცემული მიზნებით, განახორციელოს მონაცემთა სუბიექტის შესახებ არსებული ინფორმაციის, მათ შორის მისი პერსონალური მონაცემების, დამუშავება.

5.2. Space Cargo-ს მიერ მონაცემთა დამუშავება, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებულ ნებისმიერ მოქმედებას, კერძოდ, მათ მონაცემთა სუბიექტისაგან ან წინამდებარე პოლიტიკის N1 დანართში ჩამოთვლილი მესამე პირ(ებ)ისაგან მოპოვებას, შეგროვებას, ჩაწერას, ფოტოზე აღბეჭდვას, აუდიოჩაწერას, ვიდეოჩაწერას, ორგანიზებას, შენახვას, შეცვლას, აღდგენას, გამოთხოვას, გამოყენებას ან/და გამჟღავნებას (მათ შორის ინფორმაციის გამოთხოვას ან/და გამჟღავნებას წინამდებარე პოლიტიკის N1 დანართში მოცემული მესამე პირ(ებ)ისთვის, რომლებიც შემდგომში განახორციელებენ მონაცემთა დამუშავებას წინამდებარე პოლიტიკით განსაზღვრული მიზნით) მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან/და სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფებას ან/და კომბინაციას, დაბლოკვას, წაშლას ან/და განადგურებას.

5.3. Space Cargo-ს ან/და წინამდებარე პოლიტიკის N1 დანართში ჩამოთვლილი მესამე პირების მიერ ხორციელდება მონაცემთა სუბიექტის ან მის მიერ დასახელებული მესამე პირ(ებ)ის შესახებ არსებული ინფორმაციის დამუშავება (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, Space Cargo-ს შეკვეთით უფლებამოსილი პირების მიერ ან/და როდესაც თავად Space Cargo არის უფლებამოსილი პირი და მესამე პირების, როგორც მონაცემთა დამმუშავებლის, დავალებითა და მათ სასარგებლოდ მოქმედებს) ან/და წინამდებარე პოლიტიკის N1 დანართში ჩამოთვლილი მესამე პირებისთვის ამ ინფორმაციის გადაცემა კონკრეტული მიზნებისთვის, რაც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი პერსონალური მონაცემებით:

1. მონაცემთა სუბიექტის სახელი და გვარი;

2. პირადი ნომერი ან/და მისი ელექტრონული პირადობის მოწმობის უნიკალური მახასიათებლები;
3. რეგისტრირებული ან/და ფაქტიური საცხოვრებელი მისამართი;
4. ტელეფონის/მობილურის ნომერი;
5. ელექტრონული ფოსტის მისამართი;
6. თქვენ შესახებ ჩვენს ვებგვერდზე არსებული ისტორია
7. Space cargo-ში ანგარიშ(ებ)ის შესახებ ნებისმიერი მონაცემები.
8. სხვადასხვა ელექტრონულ არხებში ან/და ინტერნეტ სივრცეში გამჟღავნებული ნებისმიერი მონაცემი (მათ შორის და არამარტო მზა ჩანაწერები ე.წ. cookies და სხვა) და მონაცემთა სუბიექტისა ან/და მას მიერ მითითებული მესამე პირ(ებ)ის აქტივობა აღნიშნულ არხებში (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ასეთ არხ(ებ)ში დალოგინებისა და ჩატარებული ქმედებებისა თუ ტრანზაქციების ისტორია);
9. ნებისმიერი სხვა მონაცემი, რომელიც უკავშირდება კლიენტს და რის შედეგადაც შესაძლებელია მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიცირება ან/და დახასიათება ან/და სხვა კლიენტებთან მისი დაჯგუფება პირის ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებითა თუ ზემოთ მოყვანილ ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი ან ნაგულისხმევი ტრანზაქციული აქტივობით.

5.4. თუ მონაცემთა სუბიექტი, მომსახურების მიღების მიზნით, Space cargo-ს აწვდის მესამე პირების (დამატებითი ბარათის მფლობელი, თავდები პირი, ოჯახის წევრები, დამსაქმებელი და სხვა) შესახებ ინფორმაციას, მათ შორის და არამარტო ინფორმაციას პერსონალური მონაცემების, გადახდისუნარიანობის, ქონებრივი მდგომარეობის შესახებ და სხვა, ხოლო Space Cargo ახორციელებს აღნიშნული ინფორმაციის, მათ შორის პერსონალური მონაცემების, დამუშავებას მომსახურების შესრულებისთვის ან/და მარკეტინგული მიზნით, მონაცემთა სუბიექტი თავად არის ვალდებული მოპოვებული ჰქონდეს აღნიშნულ პირთა თანხმობა, მათი პერსონალური მონაცემების Space Cargo-ს მიერ დამუშავებაზე. მონაცემთა სუბიექტის მიერ ამგვარი ინფორმაციის Space Cargo-სთვის (ან მისი უფლებამოსილი პირისთვის) მიწოდების ფაქტი გულისხმობს მონაცემთა სუბიექტის მიერ ამ პიროვნებისგან თანხმობის მოპოვებას და აღარ საჭიროებს Space Cargo-ს მიერ ასეთი დასტურის მოპოვებას. მონაცემთა სუბიექტი თავად არის პასუხისმგებელი ნებისმიერ ზიანზე/ზარალზე, რომელიც შესაძლოა მიადგენს Space cargo-ს მონაცემთა სუბიექტის მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში. მონაცემთა სუბიექტი თანახმაა აუნაზღაუროს და დაიცვას Space Cargo ნებისმიერი ზარალისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს შედეგობრივ ზარალს), საჩივრისგან, ხარჯისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებსაც Space Cargo გაიღებს საკუთარი უფლებების განსახორციელებლად), იურიდიული პროცესისგან და ნებისმიერი სხვა ვალდებულებისგან, რომელიც ამგვარი დარღვევის შედეგად შეიძლება წარმოიშვას.

5.5. Space Cargo-ს მიერ ელექტრონულ არხებში (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ვებ-ბრაუზერი, Space Cargo-ს ვებ-გვერდი და მიღების სხვა ტექნიკური საშუალებები და არხები) მონაცემთა სუბიექტის შესახებ მონაცემების დამუშავება, ასევე მოიცავს მონაცემთა სუბიექტის აქტივობის ჩაწერას (მაგ. ელექტრონულ არხით სარგებლობისას მონაცემთა სუბიექტის ადგილსამყოფელის იდენტიფიცირება, ძიების ველში დაფიქსირებული მონაცემების აღწერა და ანალიზი, პროდუქციის არჩევანის სიხშირის ან/და სხვა ნებისმიერ სტატისტიკურ მონაცემის ჩაწერა და მისი ანალიზი) ან/და მონაცემთა სუბიექტის მიერ დაფიქსირებული სხვა მონაცემების (მაგ. მონაცემთა სუბიექტის ან/და მესამე პირთა საკონტაქტო მონაცემები) გამოყენებას.

**6. მონაცემთა დამუშავების საფუძველი**

6.1. მონაცემთა სუბიექტისთვის ცნობილია და ეთანხმება, რომ Space Cargo-ს მომსახურებით სარგებლობის პერიოდში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდგომაც,

Space Cargo-ს მიერ მონაცემთა სუბიექტის ან მის მიერ დასახელებული მესამე პირ(ებ)ის მონაცემების (მათ შორის პერსონალური მონაცემების) დამუშავება აუცილებელია:

1. მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად ან/და მისთვის მომსახურების გასაწევად;
2. Space Cargo-ს ან/და მესამე პირ(ებ)ის კანონიერი ინტერესების დასაცავად;
3. Space Cargo-ს მიერ კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;
4. მონაცემთა სუბიექტისთვის მარკეტინგული შეთავაზებების განხორციელებისთვის;
5. კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.
- 6.2. თუ მონაცემთა დამუშავებისთვის, კანონმდებლობა ითხოვს მონაცემთა სუბიექტის თანხმობის არსებობას (მაგალითად მარკეტინგული მიზნით მონაცემების დამუშავებისას), აღნიშნულ თანხმობად ჩაითვლება ნებისმიერი ელექტრონული ან/და არაელექტრონული ფორმით გაკეთებული მონაცემთა სუბიექტის განაცხადი, რომლითაც მონაცემთა სუბიექტი ეთანხმება წინამდებარე პოლიტიკას.

## **7. მონაცემთა დამუშავების მიზნები**

7.1. Space Cargo-ს ან/და წინამდებარე პოლიტიკის NI დანართში ჩამოთვლილი მესამე პირ(ებ)ის მიერ მონაცემთა სუბიექტის ან მის მიერ მითითებული მესამე პირების პერსონალური მონაცემების დამუშავება შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა მიზნით, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე:

1. Space Cargo-ს მომსახურების სრულად და ჯეროვნად განხორციელებისთვის;
2. კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, ინფორმაციის აუდიტორული კომპანიების, პოტენციური ცესიონერის ან ცედენტის, მარეგულირებლის, მაკონტროლებლის ან სხვა ზედამხედველი ორგანოსათვის ხელმისაწვდომობისთვის;
3. Space Cargo-ს მომსახურების გასაუმჯობესებლად და განვითარებისთვის, რა დროსაც Space Cargo ახორციელებს მონაცემთა სუბიექტის შესახებ არსებული ინფორმაციის, მათ შორის საკრედიტო ისტორიის ანალიზს, სტატისტიკური მონაცემების ანალიზს და სხვა;
4. სხვადასხვა ანგარიშების, კვლევების ან/და პრეზენტაციების მოსამზადებლად და სადემონსტრაციოდ;
5. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე თაღლითობის, ფულის გათეთრების ან სხვა დანაშაულის გამოსავლენად ან/და პრევენციისთვის;
6. მარკეტინგული მიზნით, რაც გულისხმობს, როგორც Space Cargo-ს, ასევე წინამდებარე პოლიტიკის NI დანართში ჩამოთვლილი მესამე პირების მიერ სხვადასხვა პროდუქტების/მომსახურების პერიოდულ შეთავაზებას.

## **8. აპლიკანტის ან დასაქმებულის მონაცემების დამუშავება**

8.1. პერსონალური მონაცემების დამუშავება შრომითი ხელშეკრულების დადების, შესრულებისა და შეწყვეტის მიზნებისათვის Space Cargo უფლებამოსილია დაამუშავოს იმ პირის პერსონალური მონაცემები, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ პირის დასაქმების ან/და სტაჟირების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში (შემდგომში - აპლიკანტი). თუ კონკრეტულ პოზიციაზე განსახილველ აპლიკანტს უარი ეთქვა დასაქმებაზე, აპლიკანტმა ვერ გაიარა შერჩევის პროცესი ან გამოსაცდელი ვადა დაასრულა წარუმატებლად, აპლიკანტის პერსონალური მონაცემები ექვემდებარება განადგურებას გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აპლიკანტს Space Cargo-სთვის მიცემული აქვს თანხმობა (როგორც ელექტრონული ასევე არაელექტრონული) Space Cargo-ს ან/და მესამე პირების მიერ მონაცემების შემდგომ დამუშავებასა და გადაცემაზე, მისი კანდიდატურის მომავალში სხვა პოზიცია(ებ)ზე განხილვის მიზნით.

8.2. თუ აპლიკანტების შერჩევის პროცესში აუცილებელია აპლიკანტის შესახებ ინფორმაციის მესამე პირ(ებ)ისგან მოპოვება, აღნიშნული უნდა განხორციელდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონმდებლობის საფუძველზე.

8.3. ის პერსონალური მონაცემები, რომლებიც უკავშირდება შრომით ურთიერთობებს, მაგრამ მოპოვებულ არ იქნა უშუალოდ შრომითი ხელშეკრულების დადების და შესრულების პროცესში, შეიძლება დამუშავდეს, თუ: (ა) მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით, (ბ) არსებობს აპლიკანტის თანხმობა (მათ შორის თანხმობა გამოხატული ელექტრონული ფორმით, მოქმედებით, მაგ. განაცხადის, აპლიკაციის წარდგენით და სხვა), (გ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია Space Cargo-ს ან მესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად ან/და (დ) მონაცემების დამუშავება ხდება პოლიტიკის VII თავით განსაზღვრული მიზნისთვის.

## **9. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება შრომით ურთიერთობაში**

9.1. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება დასაშვებია მხოლოდ აპლიკანტის (მონაცემთა სუბიექტი) წერილობითი თანხმობით ან მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში (მათ შორის და არამარტო დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად). განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემს განეკუთვნება მონაცემი, რომელიც დაკავშირებულია პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ შეხედულებებთან, რელიგიურ ან ფილოსოფიურ მრწამსთან, პროფესიულ კავშირში გაწევრებასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, სქესობრივ ცხოვრებასთან, ნასამართლობასთან, ადმინისტრაციულ პატიმრობასთან, პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან, პირთან საპროცესო შეთანხმების დადებასთან, განრიდებასთან, დანაშაულის მსხვერპლად აღიარებასთან ან დაზარალებულად ცნობასთან, აგრეთვე ბიომეტრიული და გენეტიკური მონაცემები, რომლებიც ზემოაღნიშნული ნიშნებით ფიზიკური პირის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა.

9.2. აპლიკანტის თანხმობა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებაზე უნდა იყოს მკაფიოდ გამოხატული.

## **10. მონაცემთა დამუშავების და მისი უფლებამოსილი პირის ვალდებულებები**

10.1. წინამდებარე პოლიტიკის პირობებიდან გამომდინარე, Space Cargo გარკვეული მონაცემების დამუშავებისას შესაძლოა წარმოადგენდეს უფლებამოსილ პირს და მოქმედებდეს მონაცემთა დამუშავების სახელით, მათ შორის პოლიტიკის #1 დანართში მითითებული მესამე პირების სახელით ან იყოს აღნიშნული მესამე პირის სუბ-კონტრაქტორი. შესაბამისად, ამ ურთიერთობის თითოეული მხარე (როგორც მონაცემთა დამუშავებელი, ასევე უფლებამოსილი პირი და მისი სუბ-კონტრაქტორი) იღებს ვალდებულებას შესაბამისობაში იყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით არსებული კანონმდებლობის მოთხოვნებთან და მკაცრად დაიცვას ქვემოთმოცემული პირობები:

10.1.1. პერსონალურ მონაცემთა დამუშავება განახორციელოს კანონით განსაზღვრული პრინციპების დაცვით, ხოლო თუ მონაცემთა დამუშავებისვის კანონი ითვალისწინებს მონაცემთა სუბიექტის თანხმობას (მათ შორის თანხმობა მარკეტინგული მიზნით მონაცემების დამუშავებაზე), მოიპოვოს აღნიშნული თანხმობა (წერილობით ან ელექტრონული ფორმით).

10.1.2. ერთი მხარის მეორე მხარისთვის მიწოდებულ მონაცემთა დამუშავება განხორციელდება, შეზღუდვის გარეშე, წინამდებარე პოლიტიკის VII თავით განსაზღვრული მიზნებისთვის.

10.1.3. თუ მონაცემთა დამუშავების პროცესში, მონაცემთა დამუშავების სპეციფიკიდან გამომდინარე, ერთ-ერთი მხარე წარმოადგენს მონაცემთა დამუშავებელს, ხოლო მეორე მხარე უფლებამოსილ პირს, უფლებამოსილი პირი ვალდებული იქნება:

1. განახორციელოს მონაცემთა დამუშავების მიერ მიწოდებული მონაცემების დამუშავება იმ მოცულობით და ფარგლებში, რაც აუცილებელია წინამდებარე პოლიტიკით განსაზღვრული პირობების შესასრულებლად ან გათვალისწინებულია კანონმდებლობით ან მარეგულირებლის მოთხოვნით;

2. დანერგოს ყველა ტექნიკური ან ორგანიზაციული ზომა და განახორციელოს ყველა აუცილებელი ქმედება, რათა აცილებული იქნას მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მიწოდებული პერსონალური მონაცემების არაავტორიზებული ან უკანონო დამუშავება, მათი დაკარგვა, განადგურება, დაზიანება, არაავტორიზებული ცვლილება ან გასაჯაროება და შეატყობინოს მონაცემთა დამმუშავებელს მის მიერ მიღებული ზომების შესახებ;

3. მონაცემთა დამმუშავებლის დასაბუთებული წინასწარი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, დაუშვას მონაცემთა დამმუშავებლის წარმომადგენლები უფლებამოსილი პირის იმ სამუშაო ადგილზე სადაც ხორციელდება მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მიწოდებული მონაცემების დამუშავება, უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მიწოდებული მონაცემთა უსაფრთხოებისთვის გატარებული ღონისძიებების ინსპექტირების მიზნით;

4. 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში შეატყობინოს მონაცემთა დამმუშავებელს, თუ მიიღებს:

- მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნას საკუთარ პერსონალურ მონაცემებზე ინფორმაციის მოძიების თაობაზე;
- საჩივარს ან განცხადებას, რომელიც უკავშირდება მონაცემთა დამმუშავებლის მიერ კანონით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას;

5. ითანამშრომლოს და აღმოუჩინოს დახმარება მონაცემთა დამმუშავებელს, მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მიწოდებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრების ან განცხადებების შესწავლისას, მათ შორის:

- მიაწოდოს მონაცემთა დამმუშავებელს სრული ინფორმაცია საჩივარში ან განცხადებაში დაფიქსირებულ დეტალებთან დაკავშირებით, მათ შორის მიაწოდოს მონაცემთა სუბიექტის შესახებ მის ხელთ არსებული მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მიწოდებული მონაცემები;
- გონივრულ ვადაში, უზრუნველყოს მონაცემთა დამმუშავებლის წვდომა უფლებამოსილ პირთან არსებულ მონაცემებზე (მათ შორის ელექტრონულ მონაცემებზე);
- გონივრულ ვადაში, უზრუნველყოს მონაცემთა დამმუშავებლისთვის ნებისმიერი სხვა გონივრულად რელევანტური ინფორმაციის მიწოდება რომელიც უკავშირდება მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას.

6. მონაცემთა დამმუშავებლის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არ განახორციელოს პერსონალური მონაცემების დამუშავება (ტრანსფერი) იმ სახელმწიფოში ან/და საერთაშორისო ორგანიზაციებში, რომლებიც არ განეკუთვნებიან ევროკავშირის ეკონომიკურ ზონას და არ არიან მითითებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2014 წლის 16 სექტემბრის #1 ბრძანებით განსაზღვრულ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების მქონე ქვეყნების ნუსხაში;

7. მონაცემთა დამმუშავებლის თანხმობის გარეშე, არ განახორციელოს მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის მესამე პირებისთვის გადაცემა (გარდა იმ მესამე პირებისა, რომელთათვისაც მონაცემების გადაცემა აუცილებელია წინამდებარე პოლიტიკით განსაზღვრული საქმიანობის შესასრულებლად), ამასთან, ნებისმიერი საფუძველით, მონაცემების მესამე პირებისთვის გადაცემის შემთხვევაში, უფლებამოსილი პირი ვალდებულია მონაცემების გადაცემა განახორციელოს წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის თანახმადაც მესამე პირი და მისი სუბ-კონტრაქტორები ვალდებულნი იქნებიან მიიღონ ყველა აუცილებელი ტექნიკური ან ორგანიზაციული ზომა და განახორციელონ ყველა ქმედება, რათა აცილებული იქნას პერსონალური მონაცემების არაავტორიზებული ან უკანონო დამუშავება, მათი დაკარგვა, განადგურება, დაზიანება, არაავტორიზებული ცვლილება ან გასაჯაროება;

8. ნებისმიერი ზიანის/ზარალის ანაზღაურებაზე, რომელიც შესაძლოა მიადგენს მონაცემთა დამმუშავებელს, უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების ქმედებების (როგორც ამ პოლიტიკით ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებული) შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შედეგად. უფლებამოსილი პირი თანახმაა აუნაზღაუროს და

დაიცვას მონაცემთა დამმუშავებელი ნებისმიერი ზარალისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს შედეგობრივ ზარალს), საჩივრისგან, ხარჯისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებსაც მონაცემთა დამმუშავებელი გაიღებს საკუთარი უფლებების განსახორციელებლად), იურიდიული პროცესისგან და ნებისმიერი სხვა ვალდებულებისგან, რომელიც ამგვარი დარღვევის შედეგად შეიძლება წარმოიშვას.

9. თუ მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, მონაცემთა დამმუშავებელსა და უფლებამოსილ პირს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტისას, უფლებამოსილმა პირმა:

- მონაცემთა დამმუშავებელს უნდა დაუბრუნოს ხელშეკრულების შეწყვეტამდე მისგან მიღებული მონაცემები (მათ შორის პერსონალური მონაცემები) იმ ფორმით რა ფორმითაც იქნა მიწოდებული აღნიშნული მონაცემები მონაცემთა დამმუშავებლის მიერ, და შეწყვიტოს ამ მონაცემების დამუშავება; ან/და
- უსაფრთხოების ნორმების დაცვით, რაც გამორიცხავს მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მიწოდებულ მონაცემებზე მესამე პირების წვდომას, გაანადგუროს მის ხელთ არსებული ასეთი მონაცემები (მათ შორის პერსონალური მონაცემები), რის შესახებაც წერილობით დასტურს მიაწვდის მონაცემთა დამმუშავებელს.

10. ყოველგვარი ექვის გამოსარიცხად, მხარეები თანხმდებიან, რომ მე-9 ქვეპუნქტში მითითებული პირობა მოქმედებს მხოლოდ იმ პერსონალურ მონაცემებთან მიმართებაში, რომლის დამუშავებაც ერთ-ერთი მხარის მიერ ხორციელდება უფლებამოსილი პირის სტატუსით, მეორე მხარის სასარგებლოდ, რომელიც ამრიგად, კანონის მიზნებისთვის, მონაცემთა დამმუშავებელს წარმოადგენს.

## **11. მონაცემთა მესამე პირებისთვის გაცემა/მონაცემების მესამე პირებისაგან გამოთხოვა**

11.1. იმისათვის, რომ Space Cargo-მ სრულად და ჯეროვნად განახორციელოს მონაცემთა სუბიექტის მომსახურება, მონაცემთა დამმუშავების ფარგლებში აუცილებელია მონაცემების N1 დანართში ჩამოთვლილი მესამე პირებისთვის გადაცემა ან/და თავად ასეთი პირ(ებ)ისაგან მონაცემთა სუბიექტის ან/და მის მიერ დასახელებული მესამე პირების შესახებ არსებული პერსონალური მონაცემების გამოთხოვა.

11.2. Space Cargo მომსახურების მიღების და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, მონაცემთა სუბიექტი Space Cargo-ს ანიჭებს გამოუთხოვად უფლებას, მონაცემთა სუბიექტის დამატებითი წინასწარი ან შემდგომი თანხმობის გარეშე:

1. Space Cargo-მ კანონმდებლობით დადგენილი წესით, მრავალჯერადად მიიღოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, Space Cargo-სთვის აუცილებელი, მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემები.

2. Space Cargo-მ კანონმდებლობით დადგენილი წესით, მრავალჯერადად მესამე პირებს (მათ შორის და არამარტო, დაკავშირებულ პირ(ებ)ს, მაკონტროლებელ/საზედამხედველო ორგანოებს, აუდიტორებს, პოტენციურ ცესიონერებს და სხვა) გადასცეს ან/და აღნიშნული მესამე პირებისაგან მიიღოს, Space Cargo-სთვის აუცილებელი, მონაცემთა სუბიექტის ან/და მონაცემთა სუბიექტის მიერ დასახელებული პირების (ნებისმიერი დამატებითი ბარათის მფლობელი, თავდები და სხვა) მონაცემები (მათ შორის და არამარტო პერსონალური მონაცემები, ანგარიშებზე ნაშთები ან/და დავალიანება, ტრანზაქციების შესახებ ინფორმაცია და სხვა).

## **12. პირდაპირი მარკეტინგი**

12.1. მონაცემთა სუბიექტი ანიჭებს Space cargo-ს უფლებამოსილებას, Space cargo-ში დაფიქსირებულ მონაცემთა სუბიექტის ტელეფონის ნომერზე, ელექტრონული ფოსტის ან სხვა საკონტაქტო მისამართზე, Space Cargo-ს მიერ განსაზღვრული პერიოდულობით, განხორციელდეს მოკლე ტექსტური, ხმოვანი ან/და სხვა სახის სარეკლამო შეტყობინებების გაგზავნა (პირდაპირი მარკეტინგი), მანამ სანამ Space Cargo მონაცემთა სუბიექტისგან არ



მიიღებს სხვაგვარ მითითებას, მხარეთა შორის შეთანხმებული ან/და კანონმდებლობით დადგენილი წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით .

12.2. მონაცემთა სუბიექტი ანიჭებს Space Cargo-ს უფლებამოსილებას, სხვადასხვა მარკეტინგული შეთავაზებების განხორციელების მიზნით, Space Cargo-მ გადასცეს ან/და გაუმჟღავნოს Space Cargo-ს ხელთ არსებული მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემები ან სხვა კონფიდენციალური ინფორმაცია Space Cargo-ის დაკავშირებულ პირ(ებ)ს. ამასთან, მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილი იქნება მოსთხოვოს დაკავშირებულ პირ(ებ)ს პირდაპირი მარკეტინგის შეწყვეტა, მხარეთა შორის შეთანხმებული ან/და კანონმდებლობით დადგენილი წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით.

12.3. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, პირდაპირ მარკეტინგად არ მიიჩნევა და მონაცემთა სუბიექტი არ იქნება უფლებამოსილი Space Cargo-ს მოსთხოვოს სხვადასხვა სარეკლამო/საინფორმაციო შეტყობინებების გაგზავნის შეწყვეტა, თუ აღნიშნული სარეკლამო/საინფორმაციო შეტყობინებები კლიენტს მიეწოდება უშუალოდ Space Cargo-ს მომსახურების წერტილებში (მაგ. სარეკლამო ბანერი, ფლაერი, ზეპირი შეთავაზება და სხვა) ან Space Cargo-ს კუთვნილ (Space Cargo-სთან ასოცირებულ) ელექტრონულ არხებში.

### **13. ვიდეოთვალთვალი და აუდიო ჩაწერა**

13.1. უსაფრთხოების, საკუთრებისა და კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის მიზნებიდან გამომდინარე, ასევე მომსახურების ხარისხის კონტროლის უზრუნველსაყოფად, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, Space Cargo-ში მიმდინარეობს შენობ(ებ)ის გარე პერიმეტრისა და შესასვლელ(ებ)ის, სამუშაო ადგილ(ებ)ის მონიტორინგი ვიდეოთვალთვალისა და აუდიო ჩაწერი სისტემ(ებ)ის მეშვეობით, ასევე ვიდეოთვალთვალი ხორციელდება ელექტრონული მოწყობილობების საშუალებით, ხოლო აუდიო ჩაწერა მიმდინარეობს Space cargo-სთან სატელეფონო კომუნიკაციისას.

13.2. Space Cargo-ს მომსახურების წერტილებში, აგრეთვე Space Cargo-სთან კომუნიკაციისას ვიდეოთვალთვალისა და აუდიო ჩაწერის მიმდინარეობის შესახებ მონაცემთა სუბიექტი ინფორმირებული იქნება შესაბამისი ფორმით. მონაცემთა სუბიექტი, აცნობიერებს რა ვიდეოთვალთვალის და აუდიო ჩაწერის აუცილებლობას, თანხმობას გამოთქვამს აღნიშნული მონაცემების დამუშავებაზე.

### **14. საავტორო უფლებები**

14.1. მონაცემთა სუბიექტი აცხადებს თანხმობას, რომ მის მიერ Space Cargo-ს ვებ-გვერდზე განთავსებული მონაცემთა სუბიექტის მონაცემები (ბეჭდვითი, აუდიო ან/და ვიზუალური) თუ ის არ განეკუთვნება მონაცემთა სუბიექტის პერსონალურ მონაცემებს ჩაითვლება Space Cargo-ს საკუთრებად და Space Cargo აღნიშნული მონაცემების განთავსებისთანავე სრულად მოიპოვებს მათზე საავტორო ქონებრივ უფლებებს.

### **15. მონაცემების განახლება. დამუშავების და შენახვის ვადა**

15.1. Space Cargo-ს მომსახურების სარგებლობისას, ასევე მისი შეწყვეტის შემდგომ, Space Cargo-ს მიერ წინამდებარე თავში აღნიშნული ინფორმაციის ამ თავით განსაზღვრული მიზნებით დამუშავება გაგრძელდება იმ ვადით, რომელიც შეესაბამება Space Cargo-ს მიზნებს და ინტერესებს, მოთხოვნილია რეგულატორის მიერ ან/და გათვალისწინებულია კანონმდებლობით.

15.2. იმ მონაცემების დამუშავება, რომელიც მონაცემთა სუბიექტის მიერ Space Cargo-ს მიეწოდა ელექტრონული არხების საშუალებით, არ წყდება მონაცემთა სუბიექტის მიერ ამ მონაცემების ელექტრონული არხებიდან წაშლის შემთხვევაში, აღნიშნული მონაცემების შენახვა ასევე მოხდება იმ ვადით, რომელიც შეესაბამება Space Cargo-ს მიზნებს და ინტერესებს, მოთხოვნილია რეგულატორის მიერ ან/და გათვალისწინებულია კანონმდებლობით.



15.3. მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შემთხვევაში, Space Cargo კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში, მიაწვდის კლიენტს მის პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით Space Cargo-ში არსებულ ინფორმაციას. აღნიშნული ინფორმაციის გაცემაზე Space Cargo უფლებამოსილია დააწესოს მომსახურების საფასური, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინფორმაციის უსასყიდლოდ მიწოდების ვალდებულება გათვალისწინებულია კანონმდებლობით.

15.4. თუ მონაცემთა სუბიექტი თვლის, რომ მონაცემთა სუბიექტის შესახებ Space Cargo-ში არსებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს ან არ არის სრული, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს Space Cargo-ს აღნიშნულის შესახებ.

15.5. თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, მონაცემთა სუბიექტი არ არის უფლებამოსილი მოსთხოვოს Space Cargo-ს მის შესახებ Space Cargo-ში დაცული პერსონალური მონაცემების წაშლა.

## 16. მონაცემთა სუბიექტის უფლებები

16.1. მონაცემთა ყოველ სუბიექტს აქვს წინამდებარე მუხლით განსაზღვრული უფლებები. ამ უფლებებით სარგებლობაზე დაუყოვნებლივ რეაგირებს Space Cargo-ს პასუხისმგებელი ჯგუფი და ამ უფლებების გამოყენებამ არ შეიძლება რაიმე სახის წინააღმდეგობა შეუქმნას მონაცემთა სუბიექტს:

1. მონაცემთა სუბიექტს შეუძლია მოითხოვოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა სახის პერსონალური მონაცემები ინახება მის შესახებ, როგორ და რა მიზნით შეგროვდა ეს მონაცემები. თუ შესაბამისი შრომითი კანონმდებლობის საფუძველზე დამატებით არსებობს დამსაქმებლის დოკუმენტების (მაგალითად პირადი საქმე) გაცნობის უფლება, ასეთი უფლება დარჩება უცვლელი.

2. თუ პერსონალური მონაცემები გადაეცემა მესამე პირებს, მონაცემთა სუბიექტს, მოთხოვნის წარმოდგენისას გონივრულ ვადაში უნდა მიეწოდოს ინფორმაცია მესამე პირების ან პირთა ჯგუფის ვინაობის შესახებ.

3. თუ პერსონალური მონაცემები არაზუსტი ან არასრულია, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს მოითხოვოს ასეთი მონაცემების შესწორება ან შევსება.

4. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს პრეტენზია განაცხადოს მისი მონაცემების სარეკლამო ან საბაზრო/აზრის კვლევის მიზნებისათვის დამუშავებაზე. თუ მონაცემთა სუბიექტი უარს განაცხადებს მისი მონაცემების სარეკლამო მიზნებით გამოყენებაზე, ასეთი მონაცემების სარეკლამო მიზნებით გამოყენება უნდა შეწყდეს.

5. მონაცემთა სუბიექტს შეუძლია მოითხოვოს მისი მონაცემების დამუშავება თუ ასეთი დამუშავებისთვის არ ან აღარ არსებობს კანონისმიერი საფუძველი. იგივე წესი გამოიყენება იმ შემთხვევებისთვის, როდესაც სხვადასხვა მიზეზების გამო მონაცემთა დამუშავების მიზანი წყვეტს არსებობას. ასეთ დროს, აუცილებელია დაცული იყოს მონაცემთა შენახვის ან კოლიზიური ინტერესების დაცვის შესაბამისი ვალდებულებები.

6. მონაცემთა სუბიექტს, ზოგადად, უფლება აქვს პრეტენზია წაუყენოს Space Cargo-ს მისი მონაცემების დამუშავებაზე და ასეთი პრეტენზია უნდა იქნეს სათვალავში მიღებული თუ მონაცემთა სუბიექტის ინტერესების დაცვის სიკეთე აღემატება მონაცემთა დამუშავების მიერ კონკრეტულ სიტუაციებში მონაცემების დამუშავების უფლებას. წინამდებარე წესი არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც მონაცემთა დამუშავება ხდება კანონისმიერი მოთხოვნის საფუძველზე.

7. დამატებით, მონაცემთა ყოველ სუბიექტს უფლება აქვს ისარგებლოს წინამდებარე პოლიტიკით განსაზღვრული სხვა უფლებებით, როგორც მესამე პირს, თუ კომპანია, რომელმაც თანხმობა განაცხადა წინამდებარე პოლიტიკასთან შესაბამისობაზე, არ იცავს პოლიტიკის მოთხოვნებს და არღვევს მხარის უფლებებს.

## 17. მონაცემთა დამუშავების საიდუმლოება

17.1. პერსონალური მონაცემები ექვემდებარება მონაცემთა საიდუმლოებას. აკრძალულია Space Cargo-ს, Space Cargo-ს შვილობილი ან/და აფილირებული პირების თანამშრომლების მიერ მონაცემების უნებართვო მოპოვება, დამუშავება ან გამოყენება. ინფორმაციის ნებისმიერი დამუშავება, რომელიც Space Cargo-ს, Space Cargo-ს შვილობილი ან/და აფილირებული პირების თანამშრომლის მიერ არ განხორციელებულა მისი ლეგიტიმური მოვალეობების ფარგლებში, ითვლება უნებართვოდ. Space Cargo-ს, Space Cargo-ს შვილობილი ან/და აფილირებული პირების თანამშრომლების წვდომა პერსონალურ მონაცემებზე უნდა იყოს შესაბამისი მათი შესასრულებელი სამუშაოს სახესთან და სფეროსთან. აღნიშნული დათქმა მოითხოვს ამ სფეროში უფლებებისა და მოვალეობების მკაცრად განსაზღვრავს, დაყოფას და იმპლემენტაციას.

17.2. Space Cargo-ს, Space Cargo-ს შვილობილი ან/და აფილირებული პირების თანამშრომლებს ეკრძალებათ პერსონალური მონაცემების პირადი ან კომერციული მიზნებისათვის გამოყენება, ასეთი ინფორმაციის გამჟღავნება არაუფლებამოსილ პირებზე, ან მონაცემების სხაგვარად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. თანამშრომელთა ზედამხედველებს ევალებათ ახლად შერჩეულ თანამშრომლებს მათ მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების დაწყებისთანავე აცნობონ პერსონალური მონაცემების დაცვის ვალდებულების შესახებ და რომ მონაცემთა დაცვის ვალდებულება ძალაშია შრომითი ურთიერთობის დასრულების შემდგომაც.

## **18. მონაცემთა დამუშავების უსაფრთხოება**

18.1. პერსონალური მონაცემები უნდა იქნეს დაცული უნებართვო წვდომისა და უკანონო დამუშავების ან/და გამჟღავნებისგან, ისევე, როგორც შემთხვევით დაკარგვის, შეცვლის ან განადგურებისგან. წინამდებარე წესი ვრცელდება იმის მიუხედავად, თუ რა ფორმით ხდება ინფორმაციის დამუშავება - ელექტრონულად თუ წერილობითი ფორმით. მონაცემთა დამუშავების ახალი მეთოდების, განსაკუთრებით საინფორმაციო ტექნოლოგიების ახალი სისტემები, დანერგვამდე, აუცილებელია მკაფიოდ განისაზღვროს და იმპლემენტირდეს პერსონალური მონაცემების დაცვის ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები. ასეთი ზომები უნდა იყოს უახლესი და ეფუძნებოდეს მონაცემთა დამუშავების რისკებს და მათი დაცვის ვალდებულებას.

## **19. მონაცემთა დამუშავების კონტროლი**

19.1. მონაცემთა დაცვის წინამდებარე პოლიტიკასთან და მონაცემთა დაცვის სფეროში მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა მოწმდება და კონტროლდება რეგულარულ საწყისებზე. ასეთ შემოწმებას და კონტროლს ახორციელებს Space Cargo-ს შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი სტრუქტურული ერთეულებების თანამშრომლები. ამას გარდა, მოთხოვნის შემთხვევაში, Space Cargo სპეციალურ ანგარიშს წარუდგენს პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორის აპარატს Space Cargo-ს მიერ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის და Space Cargo-ს, მისი შვილობილი და/ან აფილირებული კომპანიების საქმიანობის მათთან შესაბამისობის შესახებ.

## დანართი №1 - ინფორმაციის მოპოვება/გადაცემა მესამე პირებისგან/პირებისათვის

1. Space Cargo მკაცრად იცავს კლიენტის შესახებ არსებული ინფორმაციის, მათ შორის პერსონალური მონაცემების, კონფიდენციალურობას, თუმცა ჩვენ (Space Cargo) უფლებამოსილი ვართ მოვახდინოთ მისი ქვემოთმოცემული მესამე პირ(ებ)ისათვის (შემდგომში - მესამე პირები) გამჟღავნება ან ამავე მესამე პირ(ებ)ისგან თქვენ შესახებ არსებული ინფორმაციის მოპოვება თუ (ა) ეს აუცილებელია მომსახურების ჯეროვნად შესრულებისათვის, (ბ) განსაზღვრულია კანონმდებლობით ან/და (გ) ემსახურება Space Cargo-ს ლეგიტიმურ კომერციულ მიზანს:

მონაცემების გადაცემა ან მოპოვება ხორციელდება:

- Space Cargo-ს პარტნიორი კომპანიები, რომელთან ერთადაც Space Cargo კომერციული კუთხით თანამშრომლობს

- მომსახურების ჯეროვნად შესრულების მიზნით;
- კლიენტებისათვის (ანუ თქვენთვის) Space Cargo-ს ან/და მესამე პირის მიერ მარკეტინგული შეთავაზებების განხორციელების მიზნით;
- კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნით (მაგალითად კლიენტის იდენტიფიკაცია);
- სხვა ლეგიტიმური კომერციული მიზნით რომელიც შესაბამისობაში იქნება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მოთხოვნებთან.

- სახედასხედველო, მაკონტროლებელ ან/და სარეგისტრაციო ორგანოებს, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს:

- მომსახურების ჯეროვნად შესრულების მიზნით;
- კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნით (მაგალითად კლიენტის იდენტიფიკაცია);
- სხვა ლეგიტიმური კომერციული მიზნით რომელიც შესაბამისობაში იქნება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მოთხოვნებთან.

2. იმ შემთხვევაში თუ Space Cargo განახორციელებს მონაცემების მესამე პირებისათვის გადაცემას, მათ შორის ინფორმაციის სხვა ქვეყნის რეზიდენტი პირ(ებ)ისათვის გადაცემას, აღნიშნული ქმედების შესრულებისას მიღებული იქნება უსაფრთხოების ყველა ის გონივრული ზომა, რაც შესაბამისობაშია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მოთხოვნებთან.

3. კლიენტისათვის ცნობილია და ეთანხმება, რომ აღნიშნულ დანართში და Space Cargo-ს ადმინისტრირებად ვებ-გვერდებზე მოცემული ჩამონათვალი არ არის სრული, ამომწურავი და დროდადრო მესამე პირების რაოდენობა შესაძლოა გაიზარდოს ან შემცირდეს, თუმცა მიუხედავად ამისა მონაცემების დამუშავების კუთხით Space Cargo-ს ქმედებები შესაბამისობაში იქნება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.